# ხელშეკრულება 16

ქ. თბილისი

09 თებერვალი 2016წ.

ერთის მხრივ შპს „თვითმმართველობის მაცნე"-ს გაზეთის რედაქცია, შემდგომში „რედაქციად" წოდებული მისი დირექტორის ნინო კალანდაძის სახით და მეორეს მხრივ, „დამკვეთად" წოდებული ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებლის გაგიკ კარსლიანის სახით ხელმძღვანელობენ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საინფორმაციო-მომსახურეობის გაწევა. (CPV 22200000)

## 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1.ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.
2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3.ანგარიშსწორება

3.1.ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი; ბ) ანგარიშსწორების ფორმა-უნაღდო; წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
3.2.შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ღირებულება ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4.მხარეთა უფლება მოვალეობები

4.1.შემსყიდველი ვალდებულია: გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება: მიიღოს ზემოთ აღნიშნული საქონელი. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიზეზით სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს ხელშეკრულება ან მიიღოს საქონელი და არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული ხარჯები, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს.
4.2. მიმწოდებელი: ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

## 5. შესრულების ვადები

5.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 01,02,2016 წლიდან 31,08,2016წლამდე, ხოლო ხელშეკრულების ვადაა ხელოწერის დღიდან 2016 წლის 30 სექტემბრამდე.

## 6.მხარეთა შორის დავათა გადაწყვეტა

6.1.მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში დავათა გადაწყვეტა მოხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. ფორს – მაჟორული სიტუაციები:

7.1.მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გრემოებათა დასრულების შემდეგ.

## 8.სხვა პირობები

8.1.არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
8.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
8.4.წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 9. მხარეთა იურიდიული მისამართები და ანგარიშსწორების ანგარიშები

„მიმწოდებელი"

შპს თვითმმართველობის მაცნე ს/ნ.443567828
ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ.№31
საბანკო რეკვიზიტები: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი (კოდი): **BAGAGE22**
მიმღების დასახელება: თვითმმართველობის მაცნე
ანგარიშის ნომერი: **GE35BG0000000783135500**

შპს თვითმართველობის მაცნეს

დირექტორი: ნ.კალანდაძე

"შემსყიდველი"

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის:ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს „ლიბერთი ბანკის" ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

--------------------------------

გ.კარსლიანი